მოსწავლეთა პარლამენტის დებულება

EUROPEAN SCHOOL LTD

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
შემუშავებულია: PR და მარკეტინგის განყოფილების მიერ
მომზადების თარიღი: ნოემბერი, 2015
ბოლო გადახედვის თარიღი: სექტემბერი 2024

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

მოსწავლეთა პარლამენტის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1. მოსწავლეთა პარტლამენტი არის შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში „ევროპული სკოლა“ ან „სკოლა“) მოსწავლეთა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. იგი იქმნება „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და წინამდებარედებულების შესაბამისად.
2. მოსწავლეთა პარლამენტი წარმოადგენს დამოუკიდებელ მართვის სისტემას, თვითმმართველობით შიდასასკოლო არაპოლიტიკურ ორგანიზაციას.
3. მოსწავლეთა პარლამენტის დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს მოსწავლეთა პარლამენტის საქმიანობის ძირითად წესებს. დებულებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, მოსწავლეთა პარლამენტმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან და პედაგოგიურ კოლექტივთან.

2. მიზნები და ამოცანები

ევროპული სკოლის მოსწავლეთა პარლამენტის მიზანია:

1. დარწმუნდეს, რომ სკოლაში მოსწავლეები თავს ბედნიერად გრძნობენ;
2. დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი დაშენიშვნა;
3. წაახალისოს მოსწავლეები სკოლის ცხოვრების იმ სფეროების მოსაძიებლად, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და იმავდროულად წარმოადგინონ გაუმჯობესების გზები;
4. საფუძველი ჩაუყაროს პოზიტიურ ურთიერთობებს როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

3. მოსწავლეთა პარლამენტის სტრუქტურა, მისი შექმნის წესი, უფლებაუნარიანობა

1. მოსწავლეთა პარლამენტი შედგება პარლამენტის წევრებისგან, პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო კომისიებისგან.

2. **პარლამენტის წევრი:**

2.1. პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეული იქნეს სკოლის IX-XII კლასების მოსწავლე, რომელსაც ახასიათებს ლიდერის თვისებები, დადებითად ხასიათდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ, მისი აქტივობა და საქციელი სამაგალითოა, ჯეროვნად ასრულებს სკოლის შინაგანაწესს და სხვებსაც უბიძგებს აღნიშნულისაკენ.

2.2. პარლამენტის წევრის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს თავად პარლამენტის წევრობის კანდიდატს ერთპიროვნულად.

2.3. პარლამენტის წევრობის კანდიდატურის წამოყენება უნდა მოხდეს მოსწავლეთა პარლამენტის არჩევნების გამოცხადების დღიდან 15 დღის განმავლობაში.

2.4. პარლამენტის წევრის არჩევა ხდება კანდიდატის შესაბამისი კლასის მიერ, ფარული კენჭისყრით.

2.5. ერთი და იგივე კლასში პარლამენტის წევრობის რამდენიმე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის ორი კანდიდატი, რომელიც დააგროვებს შესაბამის კლასში ყველაზე მეტ ხმას. კლასის დამრიგებლის შუამდგომლობის და რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი კლასიდან არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ასევე მესამე კანდიდატიც, რომელიც დააგროვებს პირველი ორი კანდიდატის შემდეგ ყველაზე მეტ ხმას.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე კლასში რამდენიმე კანდიდატი დააგროვებს ხმების თანაბარ რაოდენობას, სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით გაიმართება არჩევნების მეორე ტური ან პარლამენტის წევრობის რამდენიმე კანდიდატი ჩაითვლება გამარჯვებულად.
2.7. პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ერთი წლით. პარლამენტის წევრს უფლება აქვს რამდენჯერმე იყაროს კენჭი პარლამენტის წევრის არჩევნებში.

3. პარლამენტის თავმჯდომარე:

3.1. მოსწავლეთა პარლამენტს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე.
3.2. მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე აირჩევა მოსწავლეთა პარლამენტის შემადგენლობიდან სკოლის IX-XII კლასების მოსწავლეთა მიერ, ფარული კენჭისყრით.
3.3. პარლამენტის თავმჯდომარის რამდენიმე კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში არჩევნებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს შესაბამის არჩევნებში მონაწილე მოსწავლეთა (არანაკლებ მოსწავლეთა პარლამენტის წევრთა ნახევრისა) ხმების უბრალო უმრავლესობას.
3.4. პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები უნდა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ, ახალი მოწვევის პარლამენტის არჩევიდან არა უგვიანეს 4 კვირის განმავლობაში.
3.5. პარლამენტის ახალი თავმჯდომარის არჩევამდე პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე.
3.6. მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურა შეიძლება წამოაყენოს თავად პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ერთპიროვნულად.
3.7. პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატს, თავისი სურვილისამებრ, სკოლის ადმინისტრაციის მიერ შეიძლება დაენიშნოს ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც უნდა იყოს სკოლის თანამშრომელი. 3.8. პარლამენტის თავმჯდომარეობის ყველა კანდიდატს აქვს თანაბარი უფლება წინასაარჩევნო კამპანიისათვის აქტიურად გამოიყენონ სკოლის ტელევიზია და სკოლაში არსებული სხვა საინფორმაციო საშუალებები.

4. კომისიები

4.1. მოსწავლეთა პარლამენტში ფუნქციონირებს შემდეგი კომისიები: ხელმძღვანელი კომისია, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის კომისია, საზოგადოების სამსახურის კომისია, ღონისძიებების კომისია, სპორტის კომისია.
4.2. კომისიების ფუნქციებია:
4.2.1. ხელმძღვანელი კომისია ახდენს პარლამენტის მუშაობის გეგმის შემუშავებას, მოსწავლეთა პრობლემების განხილვას და აძლევს საშუალებას ყველა მოსწავლეს, გამოთქვას თავისი აზრი და შენიშვნა.
4.2.2. საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის კომისიის მოვალეობაა სკოლის ვებგვერდზე მოსწავლეთა პარლამენტის გვერდის განახლება, სკოლის გაზეთში სიახლეების გამოქვეყნება, სკოლის ტელევიზიასთან თანამშრომლობა.
4.2.3. საზოგადოების სამსახურის კომისია ახორციელებს მოხალისეობრივ აქტივობებს სკოლის შიდა

საზოგადოებისა თუ ფართო საზოგადოების დასახმარებლად, საქველმოქმედო პროექტებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების მოსაძიებლად და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად.
4.2.4. ღონისძიებების კომისიის მოვალეობაა ღონისძიებების დაგეგმვა ორგანიზება და დამოუკიდებლად, დეკორაციების შექმნა, სასცენო წარმოდგენების გამართვა, სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით.
4.2.5. სპორტის კომისია ახორციელებს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას, სკოლის სპორტული გუნდის მართვას (ფეხბურთი, კალათბურთი და სხვა (არსებობის შემთხვევაში)), ახდენს სკოლაში სპორტის წახალისებას.
4.3. პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს, რომელიც ვალდებულია გააფორმოს პარლამენტის სხდომის ოქმები და აწარმოოს სხდომებზე პარლამენტის წევრთა დასწრების აღრიცხვიანობა.
4.4. პარლამენტის მდივნის არჩევა ხდება პარლამენტის სხდომაზე დამსწრე პარლამენტის წევრთა ხმათა უმრავლესობით.
4.5. პარლამენტის სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ერთხელ. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოწვეული იქნეს რიგგარეშე სხდომაც.
4.6. პარლამენტი იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
4.6.1. პარლამენტი ამტკიცებს სამუშაო პროგრამას;
4.6.2. იღებს გადაწყვეტილებებს;
4.6.3. განსაზღვრავს პარლამენტის კომისიების რაოდენობასა და რიცხობრივ შემადგენლობას;
4.6.4. სემესტრში 1-2-ჯერ ისმენს კომისიების თავმჯდომარეების ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ;
4.6.5. უფლება აქვს გააუქმოს კომისია ან შეცვალოს კომისიის თავმჯდომარე.
4.7. მოსწავლეთა პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ წინადადებას მხარს უჭერს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 2/3.
4.8. პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი, პარლამენტის კომისიის წევრი, რომელიც დაარღვევს სკოლის შიდა რეგულაციებს ან არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება 4 (ოთხი) ან მეტ სხდომას გაწვეულ იქნება სკოლის თვითმმართველობის ორგანოდან.
4.9. პარლამენტისა და პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობის გაზრდის მიზნით, მოსწავლეთა პარლამენტს კონსულტაციას უწევს სკოლის ერთი პედაგოგი მოსწავლეთა პარლამენტის კოორდინატორი.

5. საარჩევნო კამპანიის წარმოების წესი

5.1. საარჩევნო პროცესში ყველა კანდიდატი სარგებლოს თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები.
5.2. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ნებისმიერ კანდიდატს უფლება აქვს დაამზადოს წინასაარჩევნო განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა. არ დაიშვება მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა ან რაიმე სხვა ფორმით აკრძალვა.
5.3. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ნებისმიერ კანდიდატს უფლება აქვს გამოვიდეს თავისი სამომავლო სამოქმედო პროგრამით და უზრუნველყოს აღნიშნულის სკოლის საზოგადოების წევრებისათვის გაცნობა.
5.4. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია რაიმე სახით ან/და ფორმით ამომრჩეველი მოსწავლეებისათვის საჩუქრების ან/და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა. აღნიშნულ

პროცესში გამოყენებული მასალები ან/და განხორციელებული ღონისძიებები არ უნდა სცდებოდეს გონივრულ ჩარჩოებს და შესაბამისობაში უნდა იყოს მოსწავლეთა პარლამენტის არსებობისა და ფუნქციონირების მიზნებთან.